№ 297 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ოთხშაბათი, დეკემბერი 29 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებ. ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედა. ქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—89

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

გ ა ზ ე თ

„საქართველოს რესპუბლიკა“-ზე

გაზეთი თვიურად ეღირება 500 მანეთი, წლიურად 6.000 მან. ცალკე ნომერი 20 მან. ნისიათ გაზეთი არავის გაეგზავნება. გაზეთის ზედმეტი რიცხვი არ დაიბეჭდება.

სახელმწ. თეატრი.

ო პ ე რ ა.

ოთხშაბათს, 29 დეკემბერს

„ფ ა უ ს ტ ი“

ხუთშაბათს, 30 დეკემბერს სიმფონიური კონცერტი ბელოუსოვის და ბოროდსკის მონაწ., პარასკევს, 31 დეკემბერს ბალეტის საღამო მორდკინის „კარნავალი“. დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 1—1

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს,

მოქალაქეთა საყურადღებოთ,

რომ ელექტრონის სადგურნი ვალდებულნი არიან გასცენ ენერგია თვითმზრთველობის საშუალებით.

იმ შემთხვევაში თუ აბონენტს თვითმთვლელი არა აქვს ანგარიში ხდება ელნათურებით.

ელექტრო სადგურის ადმინისტრაციას ეძლევა უფლება გადაახდევინოს აბონენტს მხოლოდ ნახევ-რი თვის ენერგიის ფასის რაოდენობა-ერთდროული ავანსის სახით: ყოველგვარი მინიმუმი აკრძალულია. აბონენტის ელექტრონის ქსელთან შეერთებისათვის ადმინისტრაციას უფლება აქვს გადაახდევინოს მასალების და სამუშაოს ღირებულების გარდა 50 მან. ზემონახსენებ წესების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში. იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაცია გადაუხვევს თავისი მოქმედებაში აღნიშნულ წესებს გამგეობა მოუწოდებს მოქალაქეთ აცნობონ ასეთი შემთხვევები წერილობით განათების შესახებ ქალაქის ზედამხედველობას მისამართი: ტრამვაის პარკი, დილის 9 საათიდან 12 საათამდე. ტელ 4·07.

1047 3—3 ქალაქის გამგეობა.

## სახელმწიფო ცენტრალური სამხედრო არქივი

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, დეკემბრის 30-ს, დილის 10 საათზე ყოფილ სამხედრო საინტენდანტო სამმართველოს შენობაში (ნიკოლოზის ქუჩა № 51) დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა

განუმეორებლათ გაიყიდება:

1) 4000 ფუთამდე მოსასპობად გამზადებული არქივის საქმეების ქაღალდები.
2) მატერიის ყდები დაახლოვებით 10.000 ცალამდე.
3) წიგნების კარდონის ნაყდები დაახლოვებით 100 ფუთამდე.

ფუთი ქაღალდის შესყიდვა 600 მანეთიდან დაიწყება. მატერიის ყდის 20 მანეთიდან ცალი და ფუთი კარდონი კი 1.500 მანეთიდან.

იმ პირთ, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, უნდა წარმოადგინონ სათანადო განცხადება, ანაზღაურებული სადერბო მარკებით, ცენტრალური არქივის დირექტორის სახელზე, შემდეგი მისამართით: სამხედრო სოლდო სასამართლოს ყოფილი შენობა ოლღას ქუჩა № 48. საჯარო ვაჭრობის დღეს კი კომისიის თავმჯდომარის სახელზე.

აუცილებლივ საჭიროა, რომ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მისაღებათ შემოტანილ იქმნას საწინდარი 10%, შეფასების თანხის მიხედვით. თვით ქაღალდი გაიყიდება პარტიობით, არა ნაკლებ 100 ფუთისა. მატერიის ყდები მხოლოდ ერთ პარტიად და კარდონი კი არა ნაკლებ 10 ფუთისა. გასასყიდი საქონლის დათვალიერება შეიძლება დეკემბრის 27, 28 და 29-ს საინტენდანტო სამმართველოს ყოფილ შენობაში დილის 10—12 საათამდინ. 4463 3—3

## განცხადება

ვინაიდან შრომის სამინისტროში აუარებელი თხოვნები შემოდის,

რომ მან ნება დართოს ამა თუ იმ სადგურიდან შ. შის გადმოზიდვისა, შრომის სამინისტრო ამით აცხადებს, რომ შეშის გადაზიდ-გადმოზიდვა სრულიად თავისუფალია და არავითარ ნებართვას არ საჭიროებს.

1050 1—1

ევროპიულ კავკასიურ სავაჭრო ბანკი

ამით აცხადებს,

რომ მ. წ. დეკემბრის 31-ს დილ. 12 საათ. ბანკის შენობაში, რუსთაველის პრ. № 7.

დანიშნულია აუქციონით გაყიდვა

ვადა გასული სესხით 60 აქციის-თითო 5000 მან. ღირებულების დროებითი მოწმობის ტფ. ნავთის მწარმოებელ და სავაჭრო აქციონერულ საზ. „პეტროლისა“

4518 1—1

## ოფიციალური განყოფილება.

## განკარგულებანი

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.**

16 დეკემბერი, 1920 წ., № 359.

**დაინიშნოს:** ზესტაფონის ხაზინის 1 ხარ. ბუღალტრად ამავე ხაზინის II ხარ. ბუღალტერი მიხეილ კაპანაძე ა. წ. დეკემბრის 1-დან.

№ 360.

**დაინიშნოს:** ზესტაფონის ხაზინის 2 ხარ. ბუღალტრად ამავე ხაზინის 2 ხარ. მოლარე გრიგოლ ცქიტიშვილი ა. წ. დეკემბრის 1-დან.

№ 361.

**დათხოვნილ იქმნას:** სრულიათ სამსახურიდან სამსახურში გამოუცხადებლობის გამო ზესტაფონის ხაზინის 1 ხარისხის ბუღალტერი კონსტანტინე ხახვაძე ამა წლის დეკემბრის 1-დან.

№ 362.

**მიეცეს** შვებულება ორი კვირის ვადით. ტფილისის ხაზინის ბუღალტერს ვლადიმერ კიკნაძეს ა. წ. დეკემბრის 20-დან.

№ 363.

**დაინიშნოს:** ტფილისის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ტფილისის თამბაქოს კონტროლიორი ვალერიან გიორგის ძე კოლიევი ამა წლის დეკემბრის 15-დან.

№ 364.

**დათხოვნილია:** სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა სავაჭრო-სამრეწველო ნაწილის საქმისმწარმოებლის თანაშემწე ქ. თამარ ჯორჯაძისა ამა წლის დეკემბრის 1-დან.

№ 365.

**დანიშნულ იქმნას:** ყაზბეგის საბაჟოს გამგე ლევან ანტონის ძე ფაღავა სამინისტროს საბაჟოს ნაწილის მდივნის თანამდებობის აღმასრულებლათ ამა წლის 1-ლ დეკემბრიდან.

№ 366.

**დანიშნულ იქმნას:** ტფილისის საბაჟოს საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწე დიმიტრი ანტონის ძე შენგელაია სამინისტროს საბაჟო ნაწილის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლათ ამა წლის 6 დეკემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
მინ. მოვალ. აღმ. **ხ. ავალიანი.**

—

**მიწათ-მოქმედების მინისტრისა.**

29 ნოემბერი, 1920 წ., № 424.

**დანიშნულ იქმნას:** ილარიონ გიორგის ძე კერვალიშვილი გადასახლების განყოფილების მოანგარიშის თანამდებობაზედ ა. წ. 24 ნოემბრიდან.

30 ნოემბერი, 1920 წ., № 425.

**დათხოვნილია:** ბორჯომის სახელმწიფო მამულის მმართველის თანაშემწე ივანე ივანეს ძე ეძგვერაძე თანახმად მისი თხოვნისა ა. წ. 24 ნოემბრიდან.

№ 426.

**დათხოვნილია:** იგუმნოვის სახელმწიფო მამულის გამგე მიხეევი ა. წ. 27 ოქტომბრიდან.

**დანიშნულია:** ამავე სახელმწიფო მამულის გამგეთ იპოლიტე ამბაკოს ძე მახარაძე ა. წ. 27 ნოემბრიდან დროებით.

№ 427.

**დათხოვნილია:** სახელმწიფო მამულთა განყოფილების საქმის მწარმოებელი შალვა გიორგის ძე ქავალიანი სამსახურში გამოუცხადებლობის და მიზეზის შეუტყობინებლობის გამო ა. წ. 1-ლ ნოემბრიდან.

30 გიორგობისთვე, 1920 წ., № 428.

**აღმატებულ იქმნა:** გურიის ტყის გამგის 2 ხარ. თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვლადიმერ მოსეს ძე გიორგაძე, 1 ხარ. თანაშემწის თანამდებობაზე ა. წ. 30 გიორგობისთვიდან.

№ 429.

**დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან:** გურიის ტყის გამგის მე 2 ხარ. თანაშემწე სევასტიანე ქაიხოსროს ძე ჯაყელი ა. წ. 30 გიორგობისთვიდან სამსახურის შეუფერებლობის გამო.

3 დეკემბერი, 1920 წ., № 430.

**დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილების მიწის მზომელი აივაზოვი, განკარგულების შეუსრულებლობის გამო, 15 ოქტომბრიდან.

4 დეკემბერი, 1920 წ., № 431.

**დათხოვნილი არიან თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილების მიწის მზომელი ლამბაშიძე და რუხაძე, თანახმად თხოვნისა, პირველი 1-ლ სექტემბრიდან და მეორე 1-ლ ნოემბრიდან.

№ 432.

**ინიშნება:** სამინისტროს კანცელარიის ეკზეკუტორათ ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე 22 ნოემბრიდან.

№ 433.

**დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან:** სამიჯნაო განყოფილების მიწის მზომელი მარკოზოვი, 1-ლ დეკემბრიდან.

1 ქრისტეშობისთვე, 1920 წ., № 434.

**დამტკიცებულია:** სვანეთის ტყის გამგის თანამდებობის აღმასრულებელი ანდრია არსენის ძე ისიჩენკო, მე-2 ხარ. ტყის გამგის თანამდებობაზე.

2 ქრისტეშობისთვე, 1920 წ., № 435.

**გადაყვანილნი არიან:** ფოცხოვის მე-2 ხარ. ტყის გამგე შალვა აპოლონის ძე გოდერძიშვილი ქსნის სატყეოში და ქსნის ტყის გამგე ისააკ ტიმოთეს ძე კაშეიშვილი შირაქის სატყეოში იმავ თანამდებობაზე.

6 ქრისტეშობისთვე, 1920 წ., № 436.

**ინიშნება:** ნიკოლოზ ზაქარიას ძე დავითაშვილი ცხინვალის ტყის გამგის მე 2 ხარ. თანაშემწის თანამდებობაზე ა. წ. 6 ქრისტეშობისთვიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
**დ. ონიაშვილი.**

## არა ოფიციალური განყოფილება.

## საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ დეკ. 27 შემდეგი ნოტით მიმართა რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართვე-

ლოში ბ-6 შეინმანს და ა. ს. ს. რ. საგარეო საქმეთა კომისარ ჰუსეინოვს ბაქოში. პირი ამ ნოტისა გაეგზავნა საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელს მოსკოვში საქართვ. სრულუფლ. წარმ. ბაქოში და ა. ს. ს. რ. წარმ. ტფილისში.

„მიუხედავათ თქვენი მრავალ გზის დაპირებისა, რომ მიიღებდით სასწრაფო ზომებს ნავთის სამარშრუტო მატარებლების საქართველოში გამოსაშვებლათ დეკ. 5 დან საქართველოში არ შემოსულა არც ერთი ცისტერნი ნავთის პროდუქტი.

ამ ჟამათ ა. ს. ს. რ. ტერიტორიაზე დაკავებულია სპეციალურათ ნავთის პროდუქტისათვის გაგზავნილი საქართველოს ექვსი სამარშრუტო მატარებელი, 240 ცისტერნით და 12 ორთქლმავალით, რომელთაც თან ახლავთ 24 საორთქლმავლო და 12 საკონდუქტორო ბრიგადა. და ჩვენის ცნობებით რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობები სარგებლობენ ამ მატარებლებით რკინის გზის ლიანდაგზე საკუთარ ნავთის რეზერვუარების ასავსებლათ.

ამას გარდა წინაამდეგ თქვენის ნოემბრის 23 № 3361 ნოტაში განცხადებისა, დღემდის არ არის მიღებული არავითარი ღონისძიება საქართველოსა და ადერბეჯანის რკინის გზებს შორის სატელეგრაფო კავშირის აღსადგენათ, რაც ჩვენი რკინის გზის უწყებას ართმევს საშუალებას გაიგოს რა ბედი ეწვია ა. ს. ს. რ. ტერიტორიაზე მყოფს ჩვენს სამარშრუტო მატარებლებს და მათ ბრიგადებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სთვლის ამ ფაქტს ჩვენი მატარებლების და ბრიგადების დაჭერათ, რომელიც არაფრით არ იყო ჩვენის მხრით გამოწვეული და რაც წარმოადგენს ნოემბრის 14 შეთანხმების დარღვევას. ხოლო რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობათა მიერ საჭიროებათათვის სარგებლობას ჩვენი მატარებლებით, რომელთაც ჰქონდათ სპეციალური დანიშნულება, არ შეიძლება გაუკეთდეს სხვა გვარი კვალიფიკაცია, თუ არ სრულიად დაუშვებელი უგულებელყოფა საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებისა ამისათვის ჩემი მთავრობის დავალებით ვაცხადებ ენერგიულ პროტესტს და კატეგორიულად ყოველ მიზეზის გარეშე მოვითხოვ ჩვენი სამარშრუტო ნავთიან მატარებლების და მათი ბრიგადების დაუყონებლივ განთავისუფლებას და საქართველოში გამოშვებას. № 11316

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ

კ. სახაჭარიშვილი.

## გვარდიის მთავარ შტაბში.

**გვარდიელების პროტესტი.**

საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმსა და გვარდიის მთავარ შტაბს შემდეგი შინაარსის დეპეშა მოუვიდა: სამტრედიაში მყოფმა გვარდიელებმა მოვისმინეთ ამხ. ნაგ მგელაძის მოხსენება ესერი ლორთქიფანიძის მიერ დამფუძნებელ კრებაში ამხანაგ ვალიკოს მაუზერისტების მეთაურად წოდების შესახებ. რითაც ლორთქიფანიძემ ამხანაგ ვალიკოს სახით მონათლა მთელი სახალხო გვარდია მაუზერისტებათ, ჩვენ აღშფოთებული ამ გარემოებით ვუცხადებთ ჩვენ გულის წყრომას და სასტიკ პროტესტს ლორთქიფანიძეებს და ძმათა მათ, იცოდენ ლორთქიფანიძეებმა, რომ სახალხო გვარდია ეს მუშათა კლასის შეიარაღებული ძალაა, რომელიც როგორც წარსულში ისე დღესაც ფხიზელ დარაჯათ უდგას საქართველოს რესპუბლიკას, და მის მეოხებით განაგრძობს აღმშენებლობითი მუშაობას. ის უზენაესი დაწესებულება ხალხისა, საიდანაც ლორთქიფანიძეები ისე უდიერათ იხსენიებენ მას, იცოდენ, რომ სახალხო გვარდია ეტრფის საქართველოს რესპუბლიკის ბედნიერებას და არა მაუზერს.

## მთავრობაში

„ბელი-კლიუჩიდან“ დაგეტ-ხაჩინის მცხოვრებთაგან მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: დაგეტ-ხაჩინის მცხოვრებლებმა მოისმინეს რა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ, დაადგინეს აუწყონ მთავრობას, რომ მოქალაქენი მზათ არიან მხარი დაუჭირონ მუშებსა, გვარდიელებსა და ჯარს, რომლებიც იცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას. დაგეტ-ხაჩინის მცხოვრებთ, უწყევს რა ანგარიშს სომხეთის ხალხის გაკვეთილს, საჭიროთ მიაჩნიათ უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაიცვან საქართველოს და-

# გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ს კანტორა

აცხადებს სასამართლოს დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწერილობისა (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 295-ს) სავალდებულო განცხადებათა დაბეჭდვა, როგორიც არის მემკვიდრეების გამოწვევა სიგელისდა ანდერძის დამტკიცება და სხვათა 1921 წ. იანვრის 1-დან ღირს 600 მანეთი, ფული აუცილებლად უნდა იქნას შემოტანილი კანტორაში.

მოუკიდებლობა და ეკონომიური კეთილდღეობა.

— მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: საგურამოს თემის საერთო კრება მთავრობის თავმჯდომარის სახით მიესალმება მშრომელ ხალხის მებაირახტრეთ და ფიცსა სდებს, რომ ამ მძიმე მომენტში ყველა მზად არის დაიცვას საყვარელი სამშობლო და სისხლით მოპოვებული თავისუფლება.

## შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტრომ ყოფ. ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორებისა და მოსამსახურეთა 1921 წლის 1 ივლისამდე ჯამაგრის მიღების უფლების შესახებ შემდეგი დასკვნა გააკეთა: „სახალხო განათლ. სამინისტროს, როგორც სახელმწიფოს ორგანოს, რომელიც განაგებს ყოფილ უნივერსიტეტის ქონებას, მოვალეობას შეადგენს დააკმაყოფილოს უნივერსიტ. მოსამსახურეთა და მასწავლებელთა პრეტენზიები მის განკარგულებაში გადაცემულ ქონების ღირებულების ფარგლებში ამ მოვალეობიდან სამინისტროს განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ იმ მასწავლებელთა და მოსამსახურეთა მიმართ, რომელნიც უნივერსიტეტის შემდეგ სახელმ. სამსახურში გადავიდნენ. დაკმაყოფილება უნდა მიიღონ არა მარტო მასწავლებლებმა, არამედ უნივერსიტეტის ყველა მოსამსახურემ. ივლისში მზრუნველობის კომიტეტის მიერ დაწესებული მომატება გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მაშინ მათ მიეცათ დახმარება. აგვისტოს მომატება კი უნდა მიეცეს დათხოვნილ მოსამსახურეთ.

## ფინანსთა სამინისტროში

სავაჭრო სამრეწველო პალატამ ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა მოხსენება გადასახადთა მოქმედ კანონების გადასინჯვის საკითხის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ეხლანდელი ეკონომიური მომენტი ძლიერ სერიოზულია, სამშობლოს ვაჭრობა-მრეწველობის მძიმე მდგომარეობის გამო, ასეთს დროს განსაკუთრებით საჭიროა მტკიცე ეკონომიურ პოლიტიკის გატარება, რათა უფრო არ გაუარესდეს ეკონომიური მდგომარეობა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ფინანსთა მინისტრის წინადადებით, სავაჭრო-სამრეწველო პალატას დაავალეს საბჭოს სამმართველოს უფროსთან ერთად გამომუშავება საბაჟო გადასახადთა ახალი ნორმისა. ამ ნორმის გამომუშავებს დროს სახეში იყო მიღებული საკუთარი მრეწველობის უქონლობა, საჭიროება სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და დასამუშავებელ ნედლი მასალისა. ამ ჟამად საჭირო შეიქნა საბაჟოს მოქმედი ტარიფის გადასინჯვა. საკითხის გადასინჯვის დროს გადასწყდა არ გადიდებულიყო გადასახადი, და რომ მიეღოთ ეს გადასახადი ოქროთი, ან ოქროს კურსის თანახმად. სავაჭრო-სამრეწველო პალატა უკითებს რა თავის მოხსენებაში ანალიზს თუ რა გავლენას იქონიებს გადასახადის ოქროთი გადახდა მოითხოვს საერთო ეკონომიური გეგმის შემუშავებას და აღნიშნავს, რომ საჭიროა გაიხილოს ფინანსთა სამინისტრომ არა მარტო საბაჟო ტარიფი, არამედ მოქმედი გადასახადები, საშუალო ნორმის გადასახადის გამოსამუშავებლად. ეს საჭიროა მით უმეტეს, რომ არ მოხდეს განსხვავება ერობებისა, ქალაქებისა და სახელმწიფოებრივ გადასახადების შორის.

## თავდაცვის ფონდი.

დეკემბრის 25 ტფილისის ქალაქის თავის კაბინეტში რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარ გამგეობის თავმჯდომარის ა. ჩხენკელის თავმჯდომარეობით, ტფილისში და პროვინციებში ფრონტის დღეების მოწყობის საკითხის განსახილველად, მთავარ გამგეობის პრეზიდიუმისა, ფინანსიურ სექციისა და ტფილისში არსებულ სავაჭრო სამრეწველო წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა შესდგა. თავდაცვის ფონდის დანიშნულებისა და მიზნის და აგრეთვე მთავარ გამგეობის კონსტრუქციის შესახებ თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ, სხდომამ მოისმინა თავმჯდომარის ამხანაგის დ. გ. აბხაზის მოხსენება მთავარ გამგეობის მოქმედების შესახებ. აბხაზმა, მოუწოდა დამსწრეთ შეხებოდენ „კვირას“ მოწყობის საკითხს პრაქტიკულად და ემსჯელათ მომავალ მუშაობის ტეხნიკურ მხარის შესახებ. მოხსენების შემდეგ გამართულმა კამათმა, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა გ. ჟურულმა, ა. ჩხენკელმა, ი. ზურაბიშვილმა, ა. მილოვმა, ვ. ჩხიკვიშვილმა, ან. ჟღენტიანმა და სხ., გამოირკვა, რომ ტფილისის სავაჭრო სამრეწველო კლასის წარმომადგენლები ფონდის საქმეს მეტად თანაგრძნობით ეპყრობიან, და რომ ისინი მზათ არიან მიიღონ ენერგიული მონაწილეობა მის მუშაობაში, კამათის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი დადგენილება: მიიღონ ენერგიული მონაწილეობა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის შექმნის საქმეში. „კვირის“ მოწყობა ტფილისში მიენდოს სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციების ცენტრალურ ორგანოს სავაჭრო სამრეწველო პალატას, რომელმაც უნდა მიიღოს ზომები ფონდის „კვირის“ კარგათ ჩასატარებლად. მოაწყოს ეს „კვირე“ იანვრის ბოლოს. ამასთან-ვე „კვირე“ სამ დღეს გაგრძელდება. დასასრულ კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად „თავდაცვის ფონდის კვირე“ უნდა იმართებოდეს მთელ რესპუბლიკაში მაისის 26.

შეერთებულ სხდომის დახურვის შემდეგ სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის დ. აბხაზის მეთაურობით, გახსნეს ახალი სხდომა „თავდაცვის ფონდის კვირის“ საკითხის განსახილველად.

თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობა აცხადებს: პროვინციებში არსებულ ფონდის გამგეობათათვის საჭირო საკვიტანციო წიგნები დაეგზავნებათ: ქალაქებს—რესპუბლიკის ქალაქთა კავშირისაგან და ერობებს—ერობათა კავშირისაგან. წიგნაკები უკვე დაბეჭდილია და ამ დღეებში აღნიშნულ ორგანიზაციებს გადაეცემათ. მთავარი გამგეობა სთხოვს ადგილობრივ ორგანიზაციებს დააჩქარონ ფონდის გამგეობის შექმნა იქ, სადაც ასეთი ჯერ კიდევ არ არსებობს.

გამგეობა აცხადებს ტფილისში მყოფ მხატვართა საყურადღებოთ, რომ მის მიერ დანიშნულია შეჯიბრება თავდაცვის იდეის გამომხატველ პლაკატების შედგენაზე. პლაკატი დაახლოებით გაზეთის ფურცლის ოდენა უნდა იქმნეს. პლაკატი საჩქაროთ უნდა დამზადდეს. ყოველგვარ ცნობის მიღება შეიძლება ფონდის მთავარ გამგეობაში: დამფუძნებელი კრების სასახლე, ოთახი № 29, ტელ. 6-18.

შავი-ქვის მრეწველთა საზოგადოებამ „ჩემომ“ თავდაცვის ფონდს $2^1/_2$ მილიონი მანეთი გადასცა.

შემოწირულების საქმის გამგე ს. კილაძე ატყობინებს მთავარ გამგეობას, რომ სახელმწიფო ბანკში, ტფილისის მცხოვრებთაგან და პროვინციიდან ფულისა და ძვირფასი ნივთების სახით დიდძალი შემოწირულება შემოდის.

## პიერ რენოდელი საქართველოს შესახებ

ლიონის გაზეთ „პროგრესში“ იბეჭდება პიერ რენოდელის წერილების მთელი რიგი. ჯერ-ჯერობით გამოქვეყნდა 4 წერილი: „სოციალისტური რესპუბლიკა“. „როგორ წარმოიშვა სოციალისტური საქართველო“, „სოციალისტურ საქართველოში აგრარული რეფორმა“ და სოციალისტურ საქართველოში მრეწველობის სოციალიზაცია და საერთაშორისო კაპიტალი“. გამოქვეყნდება კიდევ სამი წერილი. რენოდელის წერილები იძლევიან სერიოზულ და საფუძვლიან სურათს საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებისას. გაზეთში მოთავსებულია საქართველოს ნაწილებისა და საქარ. მოღვაწეთა სურათებით. ამასთანავე რენოდელმა ორი წერილი საქართველოს შესახებ გაზ. „პოპიულერში“ მოათავსა.

## გაზ. „მანჩესტერ გარდიენი“ ევ. გეგეჭკორის შესახებ.

ინგლისურ გაზ. „მანჩესტერ გარდიენში“ დაბეჭდილია წერილი „საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი“ სათაურით. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, ჩვეულებრივ ცხოვრებაში წარმოადგენს ევროპის დიპლომატიის შკოლის სრულს დასრულებულს სახეს. საშუალო ტანის, დაახლოვებით 40 წლისა, ის ტიპიური დიპლომატია. გუშინ შეხვედრისას მე შევამჩნიე, რომ მას აქვს ერთი შეუცვლელი თვისება. სახელდობრ—გრძნობა იუმორისა და გულწრფელი სიცილი. ევროპაში მისი მოგზაურობის დროს, რაც გამოწვეულია ახლად აღიარებულ საქართველოს რესპუბლიკის აღიარების მიღწევის მიზნით მას ყველგან სიამოვნებით ხვდებოდენ. მას შეუძლია სხვადა სხვა სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა სამინისტროებს წარუდგინოს დამამტკიცებელი საბუთები თავის საქმის სასარგებლოთ. გეგეჭკორი ფიქრობს ევროპაში თვის ბოლომდე დარჩენას.

## ერთა ლიგაში.

შვეიცარიაში დაარსებულმა „ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიის საზღვრებში აღმოცენებულ ახალ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის დამცველმა საზოგადოებამ“ ერთა ლიგას მიმართა განსაკუთრებული მემორანდუმით, სადაც ეს საზოგადოება მხარს უჭერს ერთა ლიგის მუშაობაში ახალ სახელმწიფოთა მონაწილეობის მიღების უფლებას. მემორანდუმს თან დართული აქვს განსაკუთრებული მოხსენება საქართველოს შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი პოლ მორიო.

## უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები)

**„ტანი“ საქართველოს შესახებ.**

„ტანი“ იუწყება: საქართველოს მთავრობა, სავაჭრო ბალანსის გასაუმჯობესებლად, სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად და მოქალაქეთა მოხმარების გასაუმჯობესებლად ენერგიულ ზომებს ატარებსო. ხარჯების ეკონომიისათვის რესპუბლიკის საზღვრებში აკრძალულია ფუფუნების საგნების შემოტანა. ამასთანავე მიღებულია მთელი რიგი ზომებისა, რომელთა განხორციელება რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებაზე გამაჯანსაღებელ გავლენას იქონიებს.

**„ტანი“ ადერბეიჯანის შესახებ.**

„ტანი“ იუწყება: ადერბეიჯანის მთავრობა, რომელიც განჯაში იმყოფება ბაქოს რუსებისაგან განთავისუფლების დიდ სურვილს იჩენს. განზრახულია ბოლშევიკებთან მოლაპარაკების გამართვა. ამასთანავე ადერბეიჯანის მოღვაწეები ვალად იღებენ თავის თავზე მიაწოდონ ბოლშევიკებს ყოველ თვიურად განსაზღვრული რაოდენობა ნავთისა. თავის მხრით ბოლშევიკებმა ადერბეიჯანის ტერიტორია სამი დღის განმავლობაში უნდა დასტოვონ და უნდა შესწყვიტონ ბოლშევიკური პროპაგანდა.

**ამერიკის წარმომადგენელი.**

საფრანგეთის პრესა იუწყება: ამერიკის მთავრობა ოსმალეთსა, სომხეთსა და ბოლშევიკებს შორის მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად სომხეთში თავის წარმომადგენლად მორგენსს ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები

**გადასახადთა ასაკრებად.** მიწათ-მოქმედების სამინისტრომ შირაქის ნაწილში გაგზავნა სახელ. მიწათა ფონდის გამგე ადერბეიჯანელ მოიჯარადრეთაგან დარჩენილ გადასახადთა შესაკრებად. დარჩენილი გადასახადი 42 მილ. მან. აღწევს.

**შრომის სამინისტროს განცხადება.** ვინაიდან შრომის სამინისტროში მრავალი თხოვნა შემოდის ამა, თუ იმ სადგურიდან შეშის გადმოზიდვის ნებართვის მიცემის შესახებ, შრომის სამინისტრო აცხადებს, რომ შეშის გადაზიდვ-გადმოზიდვა სრულიად თავისუფალია და არავითარ ნებართვას არ საჭიროებს.

**გზათა დეპარტამენტის განცხადება.** გზათა დეპარტამენტი აცხადებს, რომ ბაქოდან სამარშრუტო მატარებლების გამოშვების შეჩერების გამო, 31 ამა დეკემბრიდან, დროებით, სანამდის დასრულდება ქვა-ნახშირის მომარაგების გეგმა, მინიმუმამდე იქნება შემცირებული ყოველგვარი სამგზავრო და საბარგო მატარებლების მოძრაობა რესპუბლიკის ყველა რკინის გზაზე.

**შემოწირულება.** ტფილისში მყოფმა სპარსეთის გენერალურმა კონსულმა ფრონტის სასარგებლოდ შემოსწირა 50,000 მან. ქართული ბონით.

**საჩუქარი.** საქართველოს მთავრობამ პარიზიდან მიიღო ოცი ცალი წიგნი საფრანგეთის მდგომარეობის შესახებ 1919 წელში. ეს წიგნები საქართველოს მთავრობას საჩუქრათ გამოუგზავნა ბ. დამპიერმა.

**მუნიციპალური არჩევნები.** ქალ. საბჭოს მომავალ არჩევნების მოსაწყობად, თვითმართვ. წევრის ხახანაშვილის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია შესდგა.

**კარტოფილი.** სასურსათო განყოფილება აუწყებს საზოგადოებრივ სასადილოებს, საავადმყოფოებს, თავშესაფარსა და სხვა და სხვა დაწესებულებებსა და სამრეწველოებს, რომ მათ მოსამსახურეთ და მუშებს დაეთმობათ კარტოფილი, ფუთი 1200 მან. და ხახვი 1400 მან. ფუთი.

**ფრენოსნობა.** დეკემბ. 14, სამხედრო ფრინავმა კაპიტ. სეხნიაშვილმა საინტერესო ფრენა გამართა. აპარატი 5500 მეტრის სიმაღლეზე ავიდა, ე. ი. კავკასიის ქედზე ბევრად მაღლა. ფრენის დროს მეთვალყურე კაპ. იაკობაშვილმა კინემატოგრაფიული, საინტერესო სურათები გადაიღო ყაზბეგის მწვერვალისა.

**საქონლის გაგზავნა ახალქალაქში.** ახალქალაქის მაზრაში გაიგზავნა მუშა საქონელთა პირველი პარტია, რიცხვით 70, გადასახლებულთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მიწათ მოქმედების გადასახლების განყოფილებას წინადადება მიეცა მოკლე ხანში კიდევ გააგზავნოს მუშა საქონელი.

**შრომის ბეგარა.** შრომის ბეგარა ვალდებულთა სამობილიზაციო კომისია ამით აცხადებს, რომ ბეგარა ვალდებულთა მოძებნა და დაკავება მინდობილი აქვს ყველა რაიონებში საგანგებო კომისიის წევრებს სათანადო მანდატებით. არც მილიციონერებს და არც კერძო გვარდიელებს უფლება არა აქვთ ამ ნიადაგზე მუშაობისა. ისინი ვალდებულნი არიან მხოლოდ კომისიის წევრებს გაყვენ და დახმარება აღმოუჩინონ.

**მიღების დრო მთავრობის საქ. სამმართველოში.** მთავრობის საქმეთა სამართველო აცხადებს, რომ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იღებს კერძო პირთ ორშაბათობით და ხუთშაბათობით 11—12 საათამდე. პროვინციიდან ჩამოსულ საზოგადოებრივ ორგანიზაციების და დაწესებულებების წარმომადგენელთ იღებს იმავე დღეს და დროს, ყოველ სასწრაფო საქმეებზე—ყოველ დღე რიგს გარეშე.

**წერილები საზღვ.-გარეთიდან.** საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებულია წერილები საზღვარ-გარეთიდან შემდეგ პირებზე: 1) მიხეილ რიბაჩენკო; 2) იაროშევი; 3) სერგი ედიგაროვი; 4) ლლონტი ალექსანდრე; 5) საზონ ბაქრაძე; 6) მ. შმულევიჩ; 7) ო. ლარესაშვილი; 8) ევგენი ფონ-ნორმან; 9) ანატოლი პერედოლსკი; 10) ოლღა ერისთავის და 11) გ. მენდელევი. წერილების მიღება შეიძლება დღის 11—12 ს.

**ქართულ დრამის განცხადება.** დრამის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ყველას ვისაც მოეპოება ბომარშეს კომედია „ფიგაროს ქორწინება“ ქართულ ენაზე გადათარგმნილი მიაწოდოს მას.

**ს. მდივანის და ბექირ-სამი-ბეის გამგზავრება ანგორაში.** დეკ. 27 საღამოს თავისი თანამშრომლებითურთ გაემგზავრა ტფილისიდან ანგორას დამფუძნ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი საქართველოს სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ანგორაში ს. გ. მდივანი. მასთან ერთად გაემგზავრა ანგორის საგარეო საქმეთა მინისტრი ბექირ-სამი-ბეი.

## ფრონტის დღე ტფილისში

**„არმაზში“** (ყოფილი ქიმერიონი).

25 დეკემბერს, გაიმართა გრანდიოზული საღამო არმაზში, რომელმაც ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. საღამოს დაესწრნენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები, უცხო სახელმწიფოთა მისიების სხვადასხვა საზოგადოებათა წარმომადგენელნი, საღამოს დიასახლისობდა ქ-ნ ავალიანი, საღამო მეტად შინაარსიანი და მხიარული იყო. ამხ. „მწყემსის“ თავმჯდომარემ ბ. შ. ქარუმიძემ შესწირა ფრონტს ერთი მილიონის ღირებული მატყლი და სამაგიეროდ მიიღო სახელი „ფრონტის მოკეთისა“.

**შობის ხესთან.**

26 დეკემბერს დილიდანვე „შობის ხესთან“ დაიწყო შემოწირულებათა დენა. სამხედრო მუსიკა და ტკბილ დუდუკის ჰანგებზე ბავშვები ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ „შობის ხის“ გარშემო, საგულისხმო და იშვიათ განცდას წარმოადგენდა სცენა, როცა შობის ხესთან მოვიდნენ მაჰმადიან და ებრაელ სკოლათა დელეგატი ბავშვები 100 სულამდე მოიტანეს შემოწირულებანი და შემდეგი წერილები გადასცეს:

**წერილი მაჰმადიან ბავშვებისა.**

ჩვენ გთხოვთ თქვენ მიიღოთ ჩვენგან დართული ამასთან 5.000 მან. და უყიდოთ საჩუქრები დამცველებს ჩვენი საქართველოსი. იცოდენ იმათ, რომ ჩვენ ვაფასებთ იმას რასაც ისინი აკეთებენ: იცავენ ჩვენ სიცოცხლეს რათა გვაძლევენ საშუალებას დამშვიდებით ვიმეცადინოთ. როცა ჩვენ გავიზრდებით ჩვენ თითონ დავიცავთ ძვირფასს საქართველოს, რომელმაც შეგვიფარა.

ისმაილი, მიკაილი, მუგმალი, ლალა ალიევი, ისკანდერი, იუსუფი, მარგარიტა შეიულ-ისლამოვისა.

**წერილი ქართველ ებრაელთა ბავშვებისა.**

თბილისი, 26 დეკემბერი 1920 წ.

ჩვენს ძმებს, რომელიც სდგანან სამშობლოს საზღვრებზე და მზათ არიან დაიცვან თავიანთი მკერდით მისი საზღვრები, ცრფელი სალამი.

ჩვენ როდესაც გამოგვიცხადა ჩვენმა უფროსმა მასწავლებელმა ნათან დავითის ძე ელიაშვილმა, რომ 25 და 26 დეკემბერი ფრონტის დღეაო და მზათ იყავითო, ჩვენ დიდის აღფრთოვანებით შევეგებეთ ამ ცნობას. ჩვენ მცირედ ბავშვურ წვლილს გიძღვნით ამ წერილთან ერთად, სამშობლოს გმირნო, მაგრამ ჩვენ წვლილზე უფრო ძვირფასად მიიჩინეთ ჩვენი გულწრფელი სალამი. მხნეთ იყავით და იცავდეთ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობას და ხელშეკრულობას, და გრძნობდეთ მარადის, რომ თქვენ ზურგს გიმაგრებთ ჩვენი თანაგრძნობა, გულწრფელი სალამი და თბილი გრძნობები თქვენდამი.

**ქართულ კლუბში.**

სალამოთი გრანდიოზული სალამო გაიმართა ქართულ კლუბში საცა გამგეებად ბრძანდებოდნენ ქ-ნი გეგეჭკორისა და ბ.ბ. ჩხიკვიშვილი. საღამოს დაესწრნენ თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი საბახტარაშვილი, გვარდიის უფროსი ბ. ჯუღელი ყველა უცხო სახელმწიფოთა და საზოგადოებათა წარმომადგენელნი. საღამომ გათენებამდე გასტანა და შემოსავალმაც მოლოდინს გადააჭარბა. „საქართველოს“ რედაქციამ შესწირა ნახევარ მილიონის გაზეთის ქაღალდი.

## ფრონტის დღე გურიაში

12 დეკემბერს—გვარდიის დღე შესაფერი ზეიმით იდღესასწაულა გურიამ. თითქმის ყველა თვალსაჩინო ცენტრებს და მოზრდილ თემებში მოეწყო დღესასწაული—დღით მიტინგები და საღამოს ლექცია წარმოდგენები.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამ მხრივ ოზურგეთმაც. დღისით გაიმართა მოქალაქეთა მიტინგი და გვარდიის აღლუმი, საღამოს—საზეიმო საღამო. მიტინგზე დიდძალი ხალხი შეგროვდა, მახლობელ თემებიდანაც. მიტინგში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ყველა ადგილობრივი სასწავლებლები და გვარდიის ნაწილი.

პირველად გაიმართა გვარდიის აღლუმი, რომელიც მიიღო სამაზრო ერობის წარმომადგენელმა ბ-მა გ. ბერეჟიანმა, ქალაქის თავ. გ. მურვანიძე და სამხედრო აღრიცხვის უფროს პოლკ. ბ რნოვთან ერთად.

შემდეგ მიტინგი მოკლე სიტყვით გახსნა მ. საბაშვილმა. ილაპ რაკეს გ. მურვანიძემ—ერობის და ქალაქის სახელით, კოპლატაძემ—მუშათა კავშირების სახელით, ზაქ. წულაძემ—გვარდიის შტაბის სახელით და ნ. დოლიძემ—ესფერთა ადგილობრივი კომიტეტის სახელით. მიტინგი დასრულდა გვარდიისა და ხალხის ქუჩებში დემონსტრაციით. გვარდიის სადგომი „მაღალ ციხის“ თავიდან ისროდენ ტყვიის-მფრქვეველებიდან.

საღამოს გვარდიის თეატრში გაიმართა საზეიმო საღამო. ვრცელი მოხსენება მომენტზე გააკეთა გაბრ. გუკუაძემ. შემდეგ დასდგეს ცოცხალი სურათი „საქართველოს დამოუკიდებლობა“, რომელიც ღრმა დაკვირვებით და უაღრესი ხელოვნებით იქნა შესრულებული, რამაც მეტად აღაფრთოვანა დამსწრენი, რომლებმაც სამჯერ განამეორებინეს სურათი. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა—დაიდგა „ბაიყუში“ და უკანასკნელად დივერტისმენტი. საღამოზე გაიყიდა მრავალი ცალი კ. კაუცკის წიგნაკი საქართველოზე.

# ერობა

**ერობათა კავშირის კომიტეტის ცირკულიარი.**

ერობათა კავშირის კომიტეტმა ერობების და ქალაქების თვითმართველობებს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა: ერობების და ქალაქების საბჭოების ხმოსნების არჩევნები უნდა მოხდეს ახლო მომავალში, ამიტომ სამინისტრო საერთო სახელმძღვანელოდ გაწვდით შემდეგ წესს ამ არჩევნების მოსაგვარებლად. 1) თითო ამრჩეველზე შესდგება თითო პირადული აღწერის ბარათი აქვე თანდართულ ფორმის მიხედვით. 2) აღწერის ბარათები დალაგებულ უნდა იქნას ან-ბანზე და შემდეგ შესდგეს საერთო სია აგრეთვე ან-ბანის მიხედვით. 3) სიების დამთავრების შემდეგ დარიგდება საარჩევნო პირადი ბარათები, რასაც ამზადებენ ადგილობრივ თვითმართველობანი, 4) აღწერის ბარათი შეიძლება დაბეჭდონ ადგილობრივ—ვისაც ეს არ ეხერხება, აცნობოს სამინისტროს საჭირო ბარათების რიცხვი და უწყება მიაწვდის დაბეჭდილ აღწერის ბარათებს, 5) ყველა აღწერას უნდა თან ჰონდეს მოქალაქეობის კანონიდან ამოწერილი სათანადო მუხლები საქართველოს მოქალაქეობის გამოსარკვევად. 5) აღწერის ბარათები ისეა შედგენილი, რომ ამ ბარათებით სარგებლობა შეიძლება სხვა არჩევნებისათვის და აგრეთვე ნაფიც მსაჯულთა სიის შესადგენათ. 7) მთავრობა იღებს საარჩევნო ხარჯების ერთს ნაწილს თავის თავზე, რომლის რაოდენობა გამორკვეულ იქნება დამფუძნებელ კრების მიერ. 8) ეს თანხა მიეცემა თვითმართველობებს—ერთი ნაწილი, ავანსის სახით, იმის შემდეგ, რაც დამფუძნებელი კრება გადადებს გამოთხოვნილ თანხას და დანარჩენი ნაწილი—ამრჩეველთა რაოდენობის შესახებ ცნობების მიღებისთანავე. 9) საარჩევნო სიების შედგენა უნდა დაწყებულ იქმნას იმ დღიდან რა დღესაც დაამზადებთ, ან მიიღებთ აღწერის ბარათებს. 10) სიების დამთავრების შესახებ ცნობები უნდა გამოგზავნოთ დაუყონებლივ სამინისტროში, იმის შემდეგ ადგილობრივ თვითმართველობასთან შეთანხმებით დაინიშნება არჩევნების დროც. 10) ყველა საჭირო განმარტებებს თვითმართველობები მიიღებენ ჩემი უწყების საერობო განყოფილებისაგან.

## რაპ. გზელია ურილება.

ტფილისის დეპოში არჩევნების შედეგი შემდეგია: 2149 მუშა და მოსამსახურიდგან, რომელნიც მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში მუშაობენ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 1282 კაცი. დანარჩენ 470 კაცი ამ ჟამად ირიცხება ფრონტზე მდგომ სახალხო გვარდიაში და მათ არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. აგრეთვე არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღეს სოგუტ ბულაღში შეშის დასამზადებლათ გაგზავნილმა 85 კაცმა, შვებულებაში მყოფმა პირებმა და ავადმყოფებმა. არჩევნების შედეგი ასეთია: № 1 სიამ (სოც-დემოკრატები) მიიღეს 1207 ხმა; № 2 სიამ (სოც-ფედ.) მათვე ხმას აძლევდნენ ბოლშევიკები მიიღეს 75 ხმა.

ამოირჩიეს შემდეგი პირები: კ. მაჭარაძე, მ. ძამანაშვილი, დ. ლორთქიფანიძე, ო. ძნელაძე, კ. ჭელიძე, ა. ჭყონია, შ. მამადაშვილი, მანჯავიძე, განკე, რ. ფანიაშვილი, კ. შავლაძე.

დეპოში ირიცხება 977 მოსამსახურე, ამათგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 585 დანარჩენმა 75 კაცმა, რომელიც სახალხო გვარდიაში მსახურებს და ფრონტზე და აგრეთვე 85 კაცმა, რომელნიც ადერბეიჯანში იმყოფებიან არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო. № 1 (სოც დემ.) სიამ მიიღო 549 ხმა. (№ 2 (სოც-ფედ.) სიამ მიიღო 36 ხმა. ამოირჩიეს; 1) ლუგაშევიჩი, 2) მანჯგალაძე, 3) დ. ბოჭორიშვილი, 4) ი. ჩლაიძე და 5) ა. მარგოლაშვილი.

## გურიის ერობაში.

**საექიმო დარგი.**

საექიმო დარგში ერობის გამგეობამ, თუ მივიღებთ მხედველობაში არსებულ არა ხელსაყრელ პირობებს, საგრძნობ შედეგებს მიაღწია. მე მოგახსენებთ მხოლოდ მთავარ ასეთ შედეგებს.

განხორციელებულია ერობის დავალება ნიგვზიანში საექიმო პუნქტის მოწყობისა, დანიშნულია იქ ექიმი, ფერშალი და ბებია ქალი.

გახსნილია საექიმო პუნქტი ჩოჩხათში, სადაც დანიშნულია ექიმი.

გახსნილია საექიმო პუნქტი სუფსაში. დანიშნულია ექიმი, რომელსაც 15 წლის საექიმო სტაჟი აქვს, იქვეა ფერშალი და ბებია ქალი.

მოწყობილია საექიმო პუნქტი და დანიშნულია სტაჟიანი ექიმი საჭამია-სერზე.

ლიხაურის რაიონში დაინიშნა ექიმი თავის ხარჯზე, ფერშალს კი თვით თემი ინახავს.

ერობამ ვერ იშოვა ექიმები ხიდისთავის, ხვარბეთის და სურების საექიმო პუნქტებზე, რის გამოც სამწუხაროთ იქ მხოლოდ ფერშლებია.

ერობის გამგეობა შეუდგა ლანჩხუთის საავათმყოფოს მოწყობას. მოიწვია ცნობილი ქირურგი გინეკოლოგი და იქვე დასტოვა პუნქტის ექიმი.

ვინაიდან საავათმყოფოსათვის საჭირო იყო შენობის გადაკეთება, გამგეობამ გასცა იჯარით სახლის რემონტი, რისთვისაც გადასდო 235.000 მან.

როგორც ყრილობას მოეხსენება, სამხედრო უწყებიდან ერობამ მიიღო ადგილობრივი ლაზარეთი, რომელიც გადააკეთა მან საერობო ცენტრალურ საავათმყოფოდ.

ამ საავათმყოფოზე დიდი ხარჯი გასწია ერობამ და დიდ შედეგებსაც მიაღწია.

ამ საავათმყოფოში მოწვეულ იქნა მთავარი ქირურგი.

მოეწყო ტერაპევტიული, სამშობიარო, ქირურგიული, გინეკოლოგიური და გადამდებ სენთა განყოფილებები.

საავათმყოფოსთან მოეწყო აგრეთვე ამბულატორია სპეციალური ქირურგიული, ტერაპევტიული, საბებიო და გინეკოლოგიური.

მოწვეულ იქმნა ექიმი ბაქტერიოლოგი და მოეწყო საავათმყოფოში ქიმიო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია.

ყველა განყოფილებებისათვის დამზადებული იქმნა საჭირო ნივთები.

მოეწყო ვანის ოთახი და აბანო. მოეწყო საოპერაციო და განცალკევებული შესახვევი ოთახი.

საავათმყოფოს აქვს 100 ლოგინისთვის საჭირო ნივთები და საზოგადოთ ყოველმხრივ მოწყობილია ეს საავათმყოფო.

ამ საავათმყოფოს მნიშვნელობაზე ხომ ლაპარაკიც მეტია; აქ კეთდება ძლიერ რთული ოპერაციები. 18 ივლისიდან ა. წ. დღემდე გაკეთდა 126 ოპერაცია, მოხდა 1.000 მეტი შეხვევა, 350 კომპრესი და სხვა. ამ ხნის განმავლობაში საავათმყოფოთი ისარგებლა 7.272 სულმა; აქედან ტერაპევტიულ განყოფილებაში იწვა 2.953 და ქირურგიულ-გინეკოლოგიურში—4.319, ამათში ჯარის კაცი იყო—3.464 და გვარდიელი—555.

გამგეობას არა აქვს დიდი გადასახადი დაწესებული საავათმყოფოთი სარგებლობაზე; ეს გადასახადი შეადგენს 375 მან. დღე და ღამეში, მაგრამ ღარიბები ამ გადასახადიდანაც თავისუფლდებიან.

**აფთიაქები.**

ამ ჟამათ ერობას სამი საუცხოვოთ მოწყობილი აფთიაქი აქვს:—ოზურგეთში, ლანჩხუთში და ჩოხატაურში.

ლანჩხუთში მან შეიძინა აფთიაქი მდიდარი მოწყობილებით 675.000 მან.

საერობო აფთიაქების დიდი მნიშვნელობა უდავოა. ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ბრძოლა

კერძო აფთიაქების საზიზღარ სპეკულიაციასთან შესაძლებელია მხოლოდ მთავარ პუნქტებში საერობო აფთიაქების დაარსებით. ამიტომ გამგეობას გადაწყვეტილი აქვს თავისი აფთიაქები გაამრავლოს.

გამგეობა აგრეთვე დახმარებას უწევს თემებსაც სათემო აფთიაქების მოწყობაში.

**საბეითალო ნაწილი.**

ამ დარგშიც საქმე შედარებით კარგადაა დაყენებული. მოწყობილი გვაქვს მაზრაში 5 საბეითალო პუნქტი, რომელთაგან 3 განაგებს დიდი ხნის სტაჟიანი ბეითალი ექიმი და 2 კი ფერშლები ამ ექიმთა ხელმძღვანელობით. ამ პუნქტების საშუალებით ბრძოლამ საქონლის სხვა და სხვა სენთან საგრძნობ შედეგებს მიაღწია.

**ხუსეინ.**

(შემდეგი იქნება)

## წერილი რედაქ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი: ამ ბოლო ხანებში გავრცელდა ხმები ვითომ მე ვეკუთნოდე ბოლშევიკურ პარტიას და ვიყო კომუნისტი. მე ყველას საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ არა ვარ კომუნისტი, არასოდეს არ მიმუშავია ხსენებულ პარტიაში და არც ვეკუთვნი მას. პატივისცემით პარმენ ცომაია.

## განცხადებანი

დაიკარგა შვებულების ბარათი № 3516 ალექსანდრე რიკრიკაძის სახელზე, მიღებული სანაპირო ჯარების შტაბიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. (უფ.) 3—3

რწმუნების წერილი მიცემული ზინაიდა ბარისის ასული ივანოვის მიერ მიხეილ გიორგის ძე ბერიტაშვილისადმი განცხადებული ტფ. ნოტარიუსთან მაჭავარიანთან 1920 წ. რეესტრით № 6824-გაუქმებულია.
4397 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3956 ელისაბედი ოგანის ასული ნალბანდიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4387 3—3

დაიკარგა მოწმობა ნიკიტა ალექსანდრეს ძე ისააკიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4429 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 539, მიღებული ტფილ. ქალაქის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის განყოფილებისაგან არშაკ ალექსანდრეს ძე ჩილოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4434 3—2

დაიკარგა პასპორტი 699 ბენიამინ ფრანგილის ძე ბალდასაროვის სახელზე, მიღებული სომხეთის ეროვნულ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4434 3—2

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული მიხეილ დიმიტრის ძე ინგოროყვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4359 3—3

დაიკარგა პასპორტი № 2981 მოთია კალთაშოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4404 3—3

დაიკარგა საზღვარ-გარეთის პასპორტი მიღებული ტდ. გუბერნატორის კანცელარიიდან ნინო სერგიას ასულის პირუმოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4396 3—3

დაიკარგა პასპორტი ლაზარე მოსეს ძე ტერ-გრიგორიანცის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენელისაგან ქ. ოდესაში 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4417 3—3

დაიკარგა საოჯახო უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის კანცელარიიდან ენოქ გრიგოლის ძე აბრამიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
4441 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი ლ. გ. კანის სახელზე, მიღებული ქ. ხარკოვში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4393 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 1920 მიღებული ტფილისის მაზრის სამმართველოდან 1908 წ. 28 ივნისს. ალექსანდრე ივანეს ძე კარალოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4383 3—3

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 147. მიღებული ქ. ერევანში გრიგორ ლუსავორიჩის ეკლესიიდან ვაჰან ხაჩატურის ძე აგოევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4384 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი კახეთის ქ. №1 მდებარე სახლის, რომელშიც მოთავსებულია სახალხო უნივერსიტეტი. გაუქმებულად ჩაითვალოს 4419 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი რკინის გზის ლიანდაგის გაღმა მდებარე სახლის და საოჯახო პასპორტი გეურქ მირაბიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4422 3—2

დაიკარგა ყაზბეგის ქ. № 25 მდებარე სახლის დავთარი, რომელიც ეკუთვნის მამულაშვილს. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4377 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 565 არშაკ ალექსანდრეს ძე ასილოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4378 3—3

დაიკარგა პასპორტი ელენე ნიკოლოზის ასული ფენ-დრიკოვას სახელზე, მიღებული ქუთაისის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4982 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზვარეთის თემიდან და ნუსხა, მიღებული ონის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან სოლომონ რევაზის ძე ტომარაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4345 3—3

დაიკარგა ატესტატი გაცემული ხონის სამასწავლებლო სემინარიიდან 1909 წლის ივნისში დოროთე ნიკოს ძე კიტიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4346 3—3

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო ბეგრის ნუსხა, მიღებული ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ილარიონ გიორგის ძე ინგორაყვას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4391 3—3

დაიკარგა პასპორტი მელქონ ალაბაზოვის ძე მერტარჯიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4372 3—3

დაიკარგა დროებითი მოწმობა ევდოკია ივანეს ასული ლიაბინოს სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს: 4369 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 8932 ანდრია ათანასის ძე ულიანოვის სახელზე, მიღებული ქ. ტფილისში 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4370 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 3061. მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 28 მარტს 1910 წ. კონსტანტინე სტეფანეს ძე იალუნინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4442 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. განჯის საპოლიციო სამმართველოდან. ნაგაპეტ ასარის ძე კაპრიელოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4438 3—2

დაიკარგა ოზურგეთის სამოქალაქო სკოლის სამი კლასის დამთავრების მოწმობა № 82. ქსენია არჯევანის ასულის კვერღელიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4436 3—2

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო მოწმობა, მიღებული ახალციხის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან შაენ ბარსეგის ძე ანისონიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 4390 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. მეხუთე სამილიციო უბნიდან და ვაჭართა და მოწველთა პროფესიონალური კავშირიდან მიღებული წიგნაკი. იაკოფ იაუშაკის ძე ელიაზარაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
4350 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სალბი პეტროსიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს.
4423 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების ნუსხა კალისტრატე ბიჭას ძე ხუსკივაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
3—2

დაიკარგა პასპორტი ნიკიფორ სემიონის ძე ხუშენკოს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამძართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4344 3—3

სამხედრო სასამართლოს ახსნებით 1920 წ. 17 ნოემბრის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა ეძებს ყოფილ მე-2 ქვეითა რაზმის ჯარისკაცს მცხოვრებ ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის, სოფ. ჯურყეთის ვლადიმერ ივანის ძე ბურძგალავას 23 წლისას, რომელსაც დროებითი სამხედრო სასამართლოს ქ. სოხუმში 1919 წ. 11 აპრილის სხდომის დადგენილებით მისჯილი აქვს დაპატიმრება ექვსი კვირით პურზედ და წყალზედ.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ბურძგალავა ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32.
1043 3—2

დაიკარგა უვადო საოჯახო პასპორტი № 186 დავით ხაჩატურის ძე დავითიანცის სახელზე, მიღებული ზაქათალაში 1911 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4399 3—3

დაიკარგა საქართველოს საზღვრებში ცხოვრების მოწმობა № 435, მიღებული განსაკუთრებული რაზმისაგან 1920 წ. ივანე ანდრიას ძე ვორონცოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4403 3—3

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ლაშე-ლვერკის საზოგ. კომისრისაგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 800 ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან პროკოფი ივანეს ძე კალანდაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4392 3—3

დაიკარგა პასპორტი სედრაკ გასპარის ძე გასპარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4125 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ვასილ ზოსიმეს ძე ტიხუაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4374 3—3

დაიკარგა პასპორტი № 1021—2985 სიმხა აბრამის ძე ლევინის სახელზე, მიღებული პოლონეთის მისიიდან ქ. ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4375 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, დამოწმებული მე-3-ე უბნის კომისრის მიერ, სხვა და სხვა ანგარიშები, დოკუმენტები და ფაქტურები რუბენ მნაცაკანის ძე ხუნუნცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4380 3—3

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევ უბანზემიწერილობის მოწმობა № 54-აბრამ მიკირტიჩის ძე კუპალიანცის სახელზე, მიღებული 8 კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4364 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ბოქოულის საზოგადოებიდან (რაჭა), მესამე კლასის მოწმობა, მიღებული ჭრებალოს უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლიდან და მეტრიკა—შალვა ლავრენტის ძე წერეთლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4418 3—2

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო უფროსის სამმართველოდან და პირადობის მოწმობა № 2405. მიღებული ბათომის საკონსულოდან იაკოფ კარპეზის ძე ლლონტის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4507 3—1

დაიკარგა რევოლვერის „სმიტდა ვისონის“ ტარების ნებართვა № 26189. მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან ერასტი დავითის ძე გვათუას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4508 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 3167 მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. აბას კული ალა ჯაფაროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4509 3—1

დაიკარგა მე 12 უბ. ელისაბედის ქ. მდებარე სახლის დავთარი, რომელიც ეკუთვნის ხარლამპი გიორგის ძე საბურს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4497 3—1

დაიკარგა ქუთაისის სამეურნეო სკოლის დამთავრების მოწმობა აპოლონ ილარიონის ძე ლუხუტაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4499 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან სერაპიონ ადამის ძე დავიდოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4501 3—1

დაიკარგა მარტყოფის ქ. № 24 მდებარე სახლის დავთარი, რომელიც ეკუთვნის ივანე პეტრეს ძე ბითაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4502 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ახალქალაქის თემიდან გიორგი ალექსის ძე ხუდოაშვილის სახელსე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4505 3—1

დაიკარგა ნუსხა მიღებული ტფ. სამხედრო უფროსის სამმართველოდან. ბესარიონ პეტრეს ძე კიტუანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4506 3—1

დაიკარგა პასპორტი ლეონ გერასიმის ძე ტერ აკოპოვის სახელზე, მიღებული ბათომში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4485 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი, მიღებული კოდის კომისრისაგან და მეტრიკა ისაკ იაგორის ძე ბალდასაროვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4486 3—1

დაიკარგა შვებულების ბარათი მოსე გიორგის ძე შარვაძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4487 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ისხაკ იაკუბის ძე ჩარუხჩევის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4493 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 58 მიხეილ კიროსტოვცოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4494 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი არიუტინ და ნატალია არიუტინოვების სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1903 წ. ივლისის 30-ს რეესტრით № 1753. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4496 3—1

დაკარგულია აფთიაქის მოწაფის წოდების მოწმობა მიღებული ხონის გიმნაზიიდან № 339. პელაგია სპირიდონის ასულის ჩომახიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
4530 3—1

## კახეთის რკინის გზის საზოგადოების

## გამგეობა

თანახმად წესდების § 39 იწვევს ბ. ბ. აქციონერებს მორიგ საზოგადო კრებაზე დასასწრებლად.

**შემდეგი საგნების განსახილველად:**

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ. 2. 1921 წ. საექსპლოტაციო ხარჯთ-აღრიცხვის და 3. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. საზოგადო კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1046 3—3

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.